ერი

№ 44

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სამშაბათი, 24 დეკემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ"

Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

დრაფი ბიბერი ტრიკო მაუდი.

პაეგზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაპოგზოვი

და ბ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი

საზამთრო

საქონელი

კოტიკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება

იაფათ

ნაჭრები.

ველვიური გენუია იდეალი ფლორა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ე რ ი"

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:		
	ერთი წლით	7 მანეთი.
	ნახევარი წლით	4 მანეთი.
	ერთი თვით	4 აბაზი.
	და ცალკე ნუმრის . . .	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

ოლღა გერასიმეს ასული, შვილები: დათიკო, თამარა, გიორგი და მიხეილი, ღვდელი იონა ჩომახიძე, მინადორა სერგეევისა, დოიმნიკა ადამიასი, ვასასი ფანცხავასი, აგრაფინა ჯორბენაძისა, პლატონ სალარაძე, ღვდ. ანდრო ადამია და პროკოფი ფანცხავა და გერმანე ჯორბენაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას: პირველი ძვირფასისმეუღლისას, მეორენი უსაყვარლესის მამისა, მესამენი ძმისას, მეოთხენი სიძისას, ხოლო უკანასკნელნი დაუვიწყარის ქვისლისას აფთიაქარ ის

ბესარიონ ნიკოლოზის ძის ჩომახიძისას,

რომლის გამოსვენებაც (ორპირის ქუჩა სახლი ივანე ყუფარაძისა) და დასაფლავება დანიშნულია ამა დეკემბრის 26-ს დილით ხუთშაბათს, ნაშუადღევის ორ საათზე. პანაშვიდი ყოველდღე 4 საათზე.

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობამრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდას შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია, სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში

(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

18 ნოემბრიდან გაიხსნება

დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოვლგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები

„დელი-ბაბ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩე! ილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პაროსი!

25 ცალი 3 შ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე
10 — 6 კ. ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

„რ ა დ ი უ მ ი"

24, 25 დეკებრის თვეში

დახურულია.

26 და 27 დეკემბერს გაიმართება

I.

სულით დაცემულნი

დრ. 2 მოქმედებათ.

II.

მაქს ლინდერი მოსკოვში.

III.

პატე-ჟურნალი.

IV.

ცივოლი და მისი ჩანჩქრები.

V.

გაბედურებული სამსახური ძალიან კომიკური.

ანონსი: 28 და 29 დეკემბერს, სხვათა შორის, ნაჩვენები იქნება:

კაცი-მხეცი

დრამა 5 ნაწ. ფერადებით.

ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . .	1—2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო	11—12
მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	$12^1/_2$ 2
ს ა ღ ა მ ო თ.	
გ. დ. ქარქაშვილი—თვალის	$4^1/_2$—$5^1/_2$
გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	$5^1/_2$—$6^1/_2$

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

ექიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ექიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

ექიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

ექიმი გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ, და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

იყიდება კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

ჭ რ ე ხ ა.

ფრიად საინტერესო საკითხს ეხება „ობზორ ზაკავკაზია" მეთაურ წერილში: რატომაა ჩვენში შეუძლებელი 1912 წლის 15 ივნისის კანონის განხორციელება, რომელიც მომრიგებელ მსაჯულთა ხალხის მიერ არჩევას შეეხება. ვინ არ იცის, რომ ჩვენი მხარე ბევრ ისეთ რამესაა მოკლებული, რაც ევროპის რუსეთის სამკაულს შეადგენს. თუნდა სასამართლო ავიღოთ, რათ არაა ჩვენში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი? იგი ხომ უკვე 50 წელია რაც არსებობს რუსეთში? აი, ახლაც იუსტიციის სამინისტრომ საჭიროთ სცნო და აღიარა, რომ მთავრობის მიერ დანიშნულ მოსამართლეებზე მეტი სარგებლობა ხალხის მიერ არჩეულსა და ხალხის ნდობით აღჭურვილ მოსამართლეთ მოაქვთ, მაგრამ... მხოლოდ შიდა რუსეთში, ჩვენ კი ამასაც მოკლებული უნდა ვიყოთ, მერე რატომ, რათა? „ობზორ ზაკავკაზია" სწერს:—

„კავკასია მღელვარე მხარეთ ითვლება, კავკასიის შესახებ რუსეთში ათასგვარი ფანტასტიური ლეგენდა არსებობს. პეტერბურგისა და მოსკოვის მცხოვრები აქამდი დარწმუნებულია, რომ კავკასია კაცის მკვლელებითაა დასახლებული და აქ ყველას კლავენ და ხოცავენ.

ასე თუ ისე, მაგრამ ასეთ აზრს კავკასიაზე, როგორც დაუმშვიდებელ მხარეზე, იზიარებენ ისეთი პირები, რომელთაც ხელთ უკავიათ საზოგადოებრივი პროგრესის ამა თუ იმ ფაქტორის მიმართულება.

მაშ, ამ შემთხვევაში, რატომ იმას მაინც ვერ მოიფიქრებენ ეს ბატონები, რომ მისცენ კავკასიას უკეთესი სასამართლო თუნდა იმიტომ, რომ ამით დაამშვიდონ „მღელვარე კავკასია"?

იქნებ ჩვენში მოსამართლეებათ რომ ივარგონ ისეთი ხალხის კონტიგონები მცირეა?

მაგრამ აქ უკვე სიამაყით არ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ განათლებულთა რაოდენობა, რომ პროცენტებით ვიანგარიშოთ, მაშინ თფილისისა და ქუთაისის გუბერნია ევროპის რუსეთის ყოველ გუბერნიაზე მაღლა სდგას"...

რასაკვირველია: თქმა იმისას რომ უკეთესი სასამართლოსთვის მოუმზადებელი იყოს ჩვენი ხალხი, აბსურდია, და თუ უკეთესი სასამართლოს ღირსათ არ გვთვლიან, ამის მიზეზი უკვე სხვაგან უნდა ვეძიოთ, სხვა გზით, რომელიც კრილოვის ერთი არაკის იმ ადგილთან მიგვიყვანს, რომელიც ამბობს:

„მე შენი შეჭმა რომა მსურს,
მიზეზათ ესეც კმარაო"...

ახალი ამბავი.

შავიქვის მრეწველთა უკანასკნელ კრებაზე, სხვათა შორის, შემდეგი დადგენილებანი დადასტურდენ:

ა. ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსაყიდათ კრებას გადასდვა ორი ათასი მანეთი. ამავე საგნისთვის კრების წევრთა და საბჭოს მოსამსახურეთა შორის შეიკრიბა ოცდა შვიდი თუმანი.

ბ. გადაიდვა ქუთაისის გუბერნიის მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოთ ორიათას ორასი მანეთი.

გ. ბათუმის დრამატიულ საზოგადოებას ორასი მანეთის შემწეობა მიეცა.

✦ შავიქვის მრეწველთა მეთექვსმეტე საზოგადო კრებამ მიიღო მილიონ ორმოცი ათასი მანეთის ხარჯთაღრიცხვა.

✦ ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოება ქუთაისის ღარიბებს დღეს სამას მანეთს დაურიგებს.

✦ გასულ შაბათს ქუთაისის საკრებულოში გამართულ მასკარადზე ერთმა მასკამ მიიქცია დამსწრე საზოგადოების ყურადღება. ორპირათ ჩამოშვებულ თეთრ ნარმ ზე, ერთ გვერდზე დახატული იყო ქართველი, დაღვრემილი სახით, ქულაჯაში გამოწყობილი, წელზე ცარი-

ლექსი—„სხვადასხვა ჭირი ჩემზედა“ და სხ., შორს ღუზა და იქვე ვარსკვლავი; მეორე გვერდზე კაბაში გამოწყობილი ვაჭარი, კმაყოფილი სახით, ხელში ეჭირა ასი ათასი მანეთის ჩეკი და წარწერა იყო: პოლიტეხნიკუმ გნაცელ! იქვე იყო სასაფლაო, სასაკლაო და სანაგვე ადგილი. ამ მასკამ მიიღო პირველი პრიზი.

✦ ადესის ქართველ სტუდენტთა ერთს ჯგუფს მიზნათ დაუსახავს გამოსცენ დროგამოშვებით ქართულ ენაზე სამეცნიერო—სალიტერატურო კრებული.

გამომცემლებს თანამშრომლებათ მოუწვევიათ ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. პირველი წიგნი გამოვა თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში და დაახლოებით შემდეგი შინაარსისა იქნება: 1). პრივატ დოცენტი სიმონ ავალიანი:—ლროებით ვალდებულ გლეხთა საკითხი. 2). პროზეკტორი ანატომიური თეატრისა ნიკოლოზ კახიანი:—ნორმალური ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). 3). ორდინატორი ვენერიული კათედრისა მიხეილ ცეცხლაძე:—ადამიანის სქესობრივი ცხოვრება; 4). ორდინატორი ნერვიული კლინიკისა სიმონ ყიფშიძე:—საუბარი ტვინის ფუნქციებზე; 5). სტუდენტი პეტრე ქავთარაძე:—ანაბიოზი; 6) სტუდენტი ქრისტეფორე რაჭველიშვილი: — საუბარი ხელოვნების შესახებ; 7) სტუდენტი სოსო ასლანიშვილი:—სამკხე-საათბაგოის სიძველენი; 8) სტუდენტი ივ. კარბელაშვილი:—ახალგაზდები (ეოთხრობა სტუდენტთა ცხოვრებიდან). 9) სტუდენტი ლადო ჟღენტი: ბავშის აღზდა; 10) სტუდენტი გერმანე ურუშაძე:—რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ამ გამოცემის შესახებ დაწვრილებით ცნობებს მალე მივაწოდებთ მკითხველებს.

✦ დეპ. გელოვანი აცხადებს, რომ დასავლეთ საქართველოში მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოთ შემწეობას ღებულობს.

✦ საახალწლოთ ქუთაიში გამოვა იუმორისტული ალმანახი—„ახალი წელი“.

✦ „რუსკოე სლოვოში“ შემდეგი ცნობაა დაბეჭდილი:—სრულიად რუსეთის მეჩუქურთმეთა და მხატვართა მეხუთე კრების გუშინდელ სხდომაზე ა. ი. ეისნერმა საქართველოს ეკლესიების შესახებ მოხსენება წაიკითხა. მომხსენებელმა კრებაზე დამსწრეთ საქართველოში თავის მუშაობის შეთაბეჭდილება გაუზიარა. ამ ეკლესიებშიო, სთქვა მომხსენებელმა, თუმცა სავსებით არა, მაგრამ მაინც დაცულია მხატვრობა, რომელიც საგულისხმიეროა, როგორც თავისებური სახის მხატვრობა. ჰაერის პირობების გამო საქართველოს ძეგლები იღუპება, კედლებზე ჩუქურთმები და მხატვრობა ხდება და რომ არ დაიკარგოს ხსოვნა საქართველოს ხელოვნების ბრწყინვალე ხანაზე, საჭიროა ლონისძიების მიღება. უნდა გადაღებული იქნას ფოტოგრაფიული სურათები კედლების მხატვრობისა, უნდა მოხდეს მათი აღწერა და ყველა ეს ერთად შეგროვდესო. ეისნერის აზრით უნდა შედგეს კომისია, რომელმაც სპეციალურათ ამ მუშაობას უნდა ადევნოს თვალყური და ამ საქმეში კერძო ინიციატივასაც ხელი შეუწყოს.

✦ ს. ფერსათში მიხრან ანანოს აქვს ღვინის საწყობი. 19 ამა დეკერბერს დილით 7 ნახევ. საათზე დატრიალდა უბედურება: თვიურ მუშას ვინმე სომეხს მუშაობის დროს სიბნელეში თავს დასცემია დიდი კარი და იქვე მოუკლავს.

✦ მესტამბე იოსებ ხელაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას დაკარგვია რკინის გზის მართველობისგან გამოცემული ფულის მისაღები კვიტანცია 122 მან. და 3 შ., ამისათვის სთხოვს მნახველს მიიტანოს მის სტამბაში, ანუ „ერის“ რედაქციაში რისთვისაც ჯილდოს მიიღებს.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ყასაბს გიორგი ლეტავას მესხეთის ქუჩაზე ხორცის მეტფასათ გაყიდვისათვის

სოხუმის ქართველოგა და მათი ავ-კარგი.

ამ სათაურით განვიზრახეთ ჩვენ გავაცნოთ მკითხველებს სოხუმის ქართველობის დღევანდელი მდგომარეობა. სოხუმი უმთავრესი ქალაქია ამიერკავკასიაში შავი ზღვის ნაპირასა, მას დიდი მომავალი აქვს, შურის თვალით უყურებენ მას ყოველი მხრიდან და გასაკვირი არ არის, რომ ჩვენ გვაინტერესებდეს ქართველთა აქაური მდგომარეობა. მათს უნარსა და საქმიანობაზეა დამოკიდებული, თუ ვინ იქნება ამ ქალაქის ფაქტიური პატრონი. ამ მიზნით ჩვენ ვეცდებით მათი კარგი და ცუდი მხარეებიც შეძლებისამებრ აღვნიშნოთ.

სოხუმში ამ ჟამათ სულ ოცდაათი ათასი მცხოვრები იქნება, უმეტესობას ქართველობა შეადგენს, მაგრამ სამწუხაროთ ერთი შეხედვით ეს შეცთომათ მოეჩვენება კაცს.

სოხუმის ეკონომიური დედაბოძი თუთუნია. რა მნიშვნელობაც დღეს ბაქოში ნავთსა აქვს, იმავე მნიშვნელობას აქ თუთუნი ეწევა. განსხვავება ის არის, რომ ნავთი ადრე იქნება თუ გვიან გამოილევა, ხოლო თუთუნი უფრო სამკვიდროა, რადგან სოხუმის ოლქის მიდამო ჰავითა და ზეადგის თვისებით ხელს უწყობს თუთუნის კულტურას. მთელი ეს წარმოება დღეს უცხოთა ხელშია. ქართველებს დღემდი ვერავითარი კვალი ამ დარგში ვერ დაუჩენიათ. არცერთი მეთუთუნე ქართველი არ მოიპოვება. ამიტომ არის, რომ სოხუმის საუკეთესო მამულები სხვის ხელშია. რაც დიდი და თვალსაჩინო შენობებია, მცირე გამონაკლისს გარდა ბერძნებისაა, რომელთა ხელშიც დღეს თუთუნის წარმოებაა, რაც აუარებელ სიმდიდრეს აძლევს მწარმოებელთ. ერთი შეხედვით საბერძნეთი გეგონება კაცს აქაურობა: ქუჩაში, ბანკში, თუ ყავახანებში ბერძნული ლაპარაკი ისმის. ხოლო დიდი მალაზიები ბერძნული წარწერებით არის. ბერძნებს თუთუნის წარმოებაში მისდევენ სომხები და მოიჯარადრე თათრები.

მეორე ადგილი სოხუმის ეკონომიურ ცხოვრებაში უჭირავს სანატორიებსა და საზოგადოთ საკურორტო შენობებს. სოხუმი ერთადერთი ქალაქია რუსეთის სახელმწიფოში, რომელიც თავისი ჰავის წყალობით საღავეთს აძლევს ფილტვებით ავათმყოფთ. აქ ყოველ ზამთარს მოდიან ავათმყოფები და დიდ ფულსაც სტოვებენ. სამწუხაროთ ჩვენდა ამ დარგშიც ქართველობას უკანასკნელი ადგილი უჭირავს; რაც საუკეთესო სანატორიებია და აგარაკები, სულ რუსების, ბერძნებისა და სომხებისაა. სამაგიეროთ წვრილი ვაჭრობითა და მცირე მესაკუთრობით ქართველები სჭარბობენ სხვას და საერთო ელფერი ქალაქს მაინც ქართული ხასიათის აქვს და ქალაქის სვეტდის გადამწყვეტი დღესდღეობით ქართველობაა. შეინარჩუნებს ქართველობა მესვეურობას თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. სამწუხაროთ ჩამოსვლისთანავე ერთი ფრიად არანორმალური რამ შევამჩნიეთ აქ. მოგეხსენებათ, რომ ოჯახის დამქცევი ოჯახის წევრთა ერთმანეთისადმი ჯიბრი და შეუთანხმებლობაა. აი, ეს სენი ცოტათ ჩაბუდებულა აქ და ამას დროზე უნდა ყურადღების მიქცევა და მოსპობა, თვარა ნაპერწკალით ადვილათ შეუძლია მტერს ცეცხლის გაჩენა. ხშირი მოვლენაა რომ მეგრელს გურული არ მოსწონს, გურულს მეგრელი და ორივე—აფხაზს. კიდევ გავიმეორებ, რომ ყველანი ერთი ოჯახის აღზდილია და მათი ჭირი, ლხინი, წარსული და მომავალიც განუყრელია.

გურულ-მეგრელთა კინკლაობა ხომ ბავშური ხასიათისაა და ამაზე საუბარიც მეტია, მაგრამ აფხაზების მდგომარეობა უფრო ანგარიშ გასაწევია. მოგეხსენებათ, აფხაზთა დიალექტი დიდათ განსხვავდება ქართული ენისაგან, ამით სარგებლობენ „Divide et impera“-ს პოლიტიკის მიმდევარნი და სთესენ შუღლს აფხაზთა და ქართველთა შუა. ასე წარმოიდგინეთ, ამ უკანასკნელ დროს ლოცვებით და ღვთის მსახურებაც კი გადათარგმნეს აფხაზურ დიალექტზე და ქართული საეკლესიო ენა სრულიად განდევნეს აფხაზეთის ეკლესიებიდან. გულუბრყვილო ზოგიერთ აფხაზს გონია, რომ ამას ჩადიან აფხაზთა სიყვარულითა და მათი ენისა და ლიტერატურის შესაქმნელათ და ამ გზით ადვილათ ებმება პროვოკაციის ქსელში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აფხაზთა შეგნებული ნიწილი ადრე შეიგნებს მდგომარეობის მნიშვნელობას და შესაფერათ დაფასებს არამკითხ „აპეკუნთა“ მოღვაწეობას. აფხაზებმა უნდა იცოდენ—მთელს ისტორიას რომ თავი დავანებოთ—ზნე ჩვეულებით; ჭირითა და ლხინით, სარწმუნოებითა და ტერიტორიით ისინი მჭიდროთ არიან დაკავშირებული ქართველებთან, ხოლო მათ „აპეკუნებთან“ საერთო არა აქვთ-რა. მტრის პოლიტიკა ასეთია: ჯერ ორ ძმას ერთმანეთს წაკიდებს, გათიშავს და შემდეგ ცალცალკე ორივეს მოსპობას უქადის. იმდენი სიმრავლისა და ძალის მქონი არა ვართ, რომ ცალცალკე გაუმკლავდეთ ყოველი მხრიდან მოსეულ მტერს, ხოლო შეერთებულის ძალით კი შესაძლოა მტრის მოგერება. ეს საანბანო ჭეშმარიტება ადვილი გასაგებია ყველასათვის.

ლანარჩენზე შემდეგ.

ახალ-მოსუდი მოკეთე.

საერთო-ქართული გიმნაზიაში.

ქართულ გიმნაზიაში 22 ამ თვეს გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. საღამოს გახსნისას მოწაფეთა მცირე გუნდმა იმღერა „ალილო“, მეშვიდე კლასის მოწაფემ მიქელაძემ წაიკითხა რეფერატი ქართულიხალხური პოეზიის შესახებ. მოწაფე პოეტები საკუთარის ლექსებით გაღმასპინძლდენ საზოგადოებას. განსაკუთრებული ყურადღება თავის ლექსების დეკლამაციით მიიქცია ჩვენმა თანამშრომელმა ცვარნამმა. კარგი იქნებოდა, რომ უფრო ბუნებრივათ კითხულობდეს იგი.

მშვენიერათ უკრავდენ ვიოლოზე პატარა მოწაფენი, სუსტობდენ დიდები. ყველაზე საამო შთაბეჭდილება დატოვა მომღერალთა გუნდმა და სიმებიანმა ორკესტრმა. ასეთი ხორო და ორკესტრი ჩვენსაზე უფრო მდიდარსა და კარგათ მოწყობილ გიმნაზიებსაც დააშვენებენ. სამწუხაროა, რომ გიმნაზიას საკუთარ ბალა აქამდი ვერ დაუსრულებია, და იძულებული არიან დერეფანში მართონ ასეთი საღამოები. არც გასავლელი ადგილი არის და ნახევარჯერ დამსწრენი ფეხზე უნდა იდგენ. ამ გარემოებას, რაც შეიძლება ჩქარა ყურადღება უნდა მიექცეს და თავადაზნაურობამ დროზე გადადგას ს ჭირო თანხა დარბაზის დასასრულებლათ. საღამოს საზოგადოება ბლომათ დაესწრო. იყვენ გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის ამასრულებელი თ. დ. ნიჟარაძე, ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, კიტა აბაშიძე და სხვ.

რა აჩხავლებთ?

ვინც გაზეთ „Руское слово“-ს თვალყურს ადევნებს, მისთვის ცხადია, თუ როგორ მტრულ განწყობილებას იჩენს იგი საერთოდ კავკასიისა და კერძოთ საქართველოს ყოფა-ცხოვრების აღნიშვნა-შეფასებაში.

აგერ რამდენი ხანია ამ გაზეთის ფურცლებზე ხშირათ ვხვდებით ასეთი რუბრიკით მოთავსებულ ამბებს: „Кавказскія нравы,“ „Кавказская шутки“. როგორ გგონიათ მერე რაზე მოგვითხოვს ეს გაზეთი?

კაცის კვდა ყაჩაღობა, ცარცვა-გლეჯა, რომელსაც არავითარი სპეციფიურათ კავკასიური ხასიათი არ აქვს. მაგალითად, ამას წინათ მოთავსებული იყო ვილაც ფალავანდიშვილებისაგან დუქნის გაძარცვის საქმე—ზემონახსენებ რუბრიკაში მაშინ, როცა ასეთი ფაქტი ასი ათასობით ხდება არა მარტო მთელ რუსეთში, მარტო ქალაქ მოსკოვში.

ამ მოვლენას ყურადღება მიაქციეს ქართველმა სტუდენტებმა—გამოითქვა აზრი—პროტესტი გამოუცხადონ ხსენებული გაზეთის ასეთ ტენდენციას. და ამ პროტესტს ხელი მოაწერა თითქმის ერთხმათ მოსკოვში მყოფმა მთელმა სტუდენტობამ, რომელიც ამ დღემში ერთ ერთს რუსულ გაზეთში გამოქვეყნდება.

ჩვენ ამ ფაქტზე დრომდი გავჩუმდებოდათ, მაგრამ „Р. слово“-ს უტიფრობას საზღვარი არ აქვს. ამას წინათ მან მოათავსა დეპეში თფილისიდან ასეთი სათაურით: „Національныя страсти“, სადაც მოთხრობილია, თუ ვით ააღელვა მთელი ქართველობა პოლიტეხნიკუმის ბედ-იღბალმა. დეპეშის ბოლოს კი ნათქვამია:—დემოკრატიულ გაზეთები ცოტათი თავშეკავებულობას იჩენენო.

ვინც იმ დეპეშს წაიკითხავს, მისთვის ცხადია, რომ კორესპონდენტს ენა უსწრებს, ჯერ რუბრიკაზე ეტყობა ეს.

დღიური.

რუმინიაში ებრაელთა დარბევის დროს 500 კაცი მძიმეთ, ხოლო ორი ათასი სუბუქათ დაიჭრა.

— ოსმალეთ-საბერძნეთ შორის თუ ომი მოხდა ბულგარეთი საბერძნეთის მხარეს დაიჭერს.

— გერმანიისა და რუსეთის მოლაპარაკებამ გერმანიის სამხედრო მისიის შესახებ უნაყოფოთ ჩაიარა.

— პეტერბურგიდან ინფორმაციას აცხადებენ, რომ ამ ბოლო დროს ... ...

ნებული ვარ ბევრი წევრი წავა და თავჯდომარეს ოქმების კითხვა მხოლოდ საბჭოს წევრებთან მოუხდება; სასურველია, კრებამ მადლობა უძღვნას ბ. კრების თავჯდომარეს, ან. ცეიტლინს იმ შრომისთვის, რომელიც მან გაგვიწია ამ კრებაზე. ბ. ცეიტლინი ნიადაგ გულმოდგინეთ ეკიდებოდა ჩვენს საქმეებს, მან გვისურვა წინა კრებაზე, რომ ჩვენი ბიუჯეტი მილიონს ასცილებოდა და კიდევაც ასრულდა ბ. ცეიტლინის სურვილი, წელს ჩვენმა ბიუჯეტმა მილიონს გადააჭარბა. ვუსურვოთ მას დღეგრძელობა, რომ კიდევ ბევრს ჩვენს კრებას დასწრებოდეს თავჯდომარეთ. ან. ცეიტლინმა მადლობა უძღვნა საზოგადოებას და დასძინა: თუ თქვენში უფრო მეტ თანაგრძნობასა და სოლიდარობას მისცემთ ადგილს და არა კინკლაობას, უფრო კარგათ წავა ჭიათურის საბჭოს საქმე და მეტს ნაყოფსაც გამოიღებს. ხალხი ტაშის ცემით მიეგება ბ. ცეიტლინის სიტყვას. გიორგი ზდანოვიჩი: ბატონებო, სხვა წარმომადგენლებიც დაგვსწრებიან მეფის მოადგილის საბჭოსაგან, მაგრამ არც ერთი ისე გულმოდგინეთ არ მოპყრობია კრების მსვლელობის საქმეს, როგორც დღევანდელი წარმომადგენელი თ. მაჩაბელი, ქუთაისის მკვიდრი შვილი, რომელიც არცერთ კრებას არ გამოკლებია, თუმცა ხშირათ ისეთი კითხვები ირჩეოდა, რომელიც მას არ დაინტერესებდა; მადლობა ვუძღვნათ თავ. მაჩაბელს. ხალხი ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა გ. ზდანოვიჩის სიტყვებს. იგ. ნიჟარაძე: მახსოვს ამ თექვსმეტი წლის წინათ, რომ პირველათ შევიკრიბეთ საბჭოს დასაარსებლათ ცარიელ ოთახში და ხომ ხედავთ, ბატონებო ბ. გიორგი ზდანოვიჩის ენერგიულმა შრომამ სანამდი აიყვანა საქმე და რამდენი კეთილი ნაყოფი გამოიღო მთელი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებისათვის; ვუსურვოთ მას ხანგძლივი სიცოცხლე და კეთილი შრომა, რომ კიდევ მრავალ წელს გაეწიოს თავჯდომარეობა ჩვენი საბჭოსთვის. დამსწრე საზოგადოება ხანგრძლივი ტაშის ცემით შეეგება ბ. ნიჟარაძის სიტყვებს. ბ. გ. ზდანოვიჩი: ბატონებო, მადლობის ღირსი მე კი არა თქვენ ბძანდებით მრეწველნი, რომლებიც თანაგრძნობით ეკიდებით საქმეს და არავითარ წვლილს არ ზოგავთ საქმის კეთილათ წაყვანისათვის, ამიტომ ნება მიბოძეთ, მთელი ქუთაისის გუბერნიის სახელით მადლობა გიძღვნათ,

კრება ღამის პირველ საათზე შეწყდა.

კომერციული ცოდნათა გამავრცელებელი საზოგადოების კრება.

შაბათს, 21 დეკემბერს, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადობის დარბაზში შესდგა „კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელი საზოგადოების“ კრება. კრებას დიდი საზოგადოება დესწრო, როგორც წევრები აგრეთვე არა წევრებიც. კრების თავჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი. თავჯდომარემ დამფუძნებლებს სთხოვა აეხსნათ საზოგადოებისთვის კრების მოწვევის მიზეზი.

იგ. ბურდაშვილი—ამ საზოგადოების თავიდათავი მიზანია, გახსნას ქუთაისში კომერციული სასწავლებელი. სასწავლებელს, რასაკვირველია, დიდი ფული სჭირდება, ამიტომ დამფუძნებლები ბევრს შეეცადენ ამ საქმის მოგვარებას. მათ თხოვნით მიმართეს საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებას, და იმათაც გადასწყვიტეს ყოველწლიურათ საზოგადოებას 2000 მან. დაეხმაროს, აგრეთვე დახმარება ვსთხოვეთ შავიქვის მრეწველთა საბჭოს, აქედან-აც ყოველწლიურათ 5000 მან. დახმარებას დაგვპირდენ. მას დაუმატეთ აგრეთვე საწევრო ფულიც, რომელიც შემოიტანა 180 წევრმა. დღეს მოგიწვიეთ იმიტომ, რომ აირჩიოთ კომიტეტი შვიდი კაცისგან შემდგარი, კომიტეტის თავჯდომარე და მისი ამხანაგი. ესენი ახლავე შეუდგებიან საქმეს, აგრეთვე უნდა აირჩიოთ სარევიზიო კომისიის წევრები.

ალ. კრანიტკი:—ბ. პურადაშვილმა შეგვატყობინა, რომ მას და მის ამხანაგებს ამ საზოგადოებისთვის მოუპოვებიათ 7—8000 მან., მაგრამ ეს თანხა ისე მცირეა, რომ ისეთს დიდ დაწესებულებას, როგორიც არის კომერციული სასწავლებელი, არ ეყოფა. ამიტომ, არ იქნება ურიგო იგივე დამფუძნებლები შეგვატყობინებდენ, სხვა რა სახსარი ექნება ამ საზოგადოებას. და ამ ჩვენ მიერ არჩეულ კომიტეტს ამ ჟამათ რა ევალება.

ბარ. მოსეშვილი:—ვეთანხმები ბ. კრინიცკის, ის თანხა, რომელიც დამფუძნებლებს მოუპოვებია ამ საზოგადოებისთვის, სასწავლებელს არ ეყოფა. საჭიროა, სხვა საშვალებებს მივმართოთ. ასეთ საშვალებათ მე, სხვათა შორის, მიმაჩნია ის, რომ ჩვენმა კომიტეტმა თხოვნით მიმართოს სხვადასხვა ქალაქის თვითმართველობას ქუთაისის გუბერნიაში დახმარებისთვის.

იოს. კემულარია—კომიტეტმა. რასაკვირველია, უნდა მიმართოს თხოვნით ქალაქის თვითმართველობათ, უნდა იშოვოს წევრები, ამას გარდა მას მთავრობაც ეხმარება 3000 მან. აგრეთვე ჩვენი სავაჭრო ბანკებიც გაუწევს ფულით ყოველწლიურ დახმარებას.

ალ. კრანიტკი—საჭიროა, ჩვენმა ბანკებმა, სადაც ჩვენ სულიან-ხორციანათ ვიფცქვნებით, კარგი დახმარება გაგვიწიოს, ეს იმათგან უნდა მოვითხოვოთ.

რაჟდ. დათუშაძე—ვსთხოვოთ ბ. პურადაშვილს წაგვიკითხოს წესდების ის ადგილი, რომელიც გვატყობიებს, რანაირათ უნდა იმოქმედ-ს კომიტეტმა.

იგ. პურადაშვილი—კითხულობს იმ ადგილს წესდებისას და შემდეგ იძლევა წინადადებას—საზოგადოებამ შვამდგომლობა აღძრას, რათა შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესცვალოს ის მუხლი, რომლის ძალითაც კომიტეტის წევრებმა უნდა იმსახურონ ოთხ წელიწადს. ვსთხოვოთ—კომიტეტის ოროორი წევრის არჩევა განისაზღვროს 2 წლით. ამნაირათ კომიტეტში დარჩებიან საქმეს გაცნობილი პირები რომელნიც ახლებს უხელმძღვანელებენ.

თავჯდომარე ეკითხება საზოგადოებას, სურს თუ არა ბ. პურადაშვილის წინადადების მიღება საზოგადოება ერთხმათ ღებულობს პურადაშვილის წინადადებას.

ბ. მოსეშვილი—ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩვენ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ბინის საკითხს, სასწავლებელს უსათუოთ უნდა შევსძინოთ საკუთარი ბინა ამ თავითვე, თვარა მას მოუხდება აქით-იქით გადატან-გადმოტანა.

ბ. ხოჯეანიშვილი—საქმე ის კი არ არის, სად ექნება სასწავლებელს ბინა, საქმე ის არის თვითონ სასწავლებელი დაარსდეს, თვარა სასწავლებელი თუ არ გვექნა, ბინა რა თავში ვიხალოთ, დიდებული მასწავლებელი არისტოტელი მიდორში, ცას ქვეშ ასწავლიდა შეგირდებს.

თავჯდომარე ეკითხება საზოგადოებას, სურს თუ არ იმსჯელონ ბინის საკითხზე. საზოგადოებას ამაზე მსჯელობა ნაადრევათ მიაჩნია

იგ. ბურდაშვილი—საურთიერთო ნდობის საზოგადოებას წესდებაში შეტანილი იყო, რომ 10% მოგებისა გადადებულიყო ქუთაისში ტეხნიკური ან სახელოსნო სასწავლებლის დასაარსებლათ. ეს ფული შეადგენდა 50,000 მან. რომელიც გადაეცა ქალაქის გამგეობას, ამ საქმის გასაწყობათ, საჭიროა, გავიგოთ ამ ფულის ამბავი და შვამდგომლობა აღვსძრათ საბჭოს წინაშე, რომ ეს ფული ამ ახალ საზოგადოებას გადმოსცეს.

ალ. მოურავი იდ. ჩიქოვანი—ეს ფული მართლაც გადაეცა ქალაქის გამგეობას. ამას წინათ ქუთაისში სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ჩამოვიდა და დაგვპირდა ტეხნიკური სასწავლებლის გახსნას, შავიქვის მრეწველთა საბჭო ყოველწლიურათ დიდ დახმარებას დაპირდა, მან აგრეთვე ჩვენგანაც მოითხოვა დახმარება ეს საკითხი შევიტანე საბჭოში და საბჭომ გადასწყვიტა ამ სასწავლებლისთვის დაეთმო 50 დესეტინა მიწა, და აგრეთვე გადასწყვიტა ის ფულიც, რომელიც ბ. პურიდაშვილმა ახსენა ამ საქმეს მოხმარდებოდა, ეგ დადგენილება ოქმებში უკვე შეტანილია და უმაღლეს მთავრობასაც წარედგინა დადგენილება. როგორც მოგეხსენებათ, ტეხნიკური სასწავლებელიც ძლიერ სჭირია ჩვენს გუბერნიას, და ეს ფული რომ მას მოვაკლოთ და კომერციულ სასწავლებელს მოვახმაროთ, ურიგობა იქნება.

ალ. კრანიტკი—მართლაც, ტეხნიკური სასწავლებელი ჩვენთვის ძლიერ საჭიროა, საბჭო მას დიდი სიხარულით მიეგება და ყოველწლიურათ 6000 მან. დახმარებას დაპირდა. ჩვენც ნუ გამოვგლეჯთ ხელიდან იმ ფულს, იქნება ოდესმე ტეხნიკური სასწავლებელი გვეღირსოს ქუთაისში, თვარა ეს ფული რომ ჩვენ წამოვიღოთ, ეს საქმე, იქნება, სამუდამოთ დასამარდეს.

იწყება არჩევნები. კრების თავჯდომარის წინადადებით ბარათებით დაასახელეს კომიტეტის თავჯდომარისა და მისი თანაშემწის კანდიდატები; სულ დასახელეს ცხრა კანდიდატი, რომელთა შორისაც 7 კაცმა კენჭის ყრაზე უარი განაცხადა, რადგან ოცტა ხმა მიიღო; ყველაზე მეტი ხმა მიიღო ბ. რაჟ. დათეშიძემ თავჯდომარეობაზე 52 ხმა, და თანამშემწეობაზე კი 3. და ბ. იოს. კემულარიამ თანაშემწეობაზე 49 ხმა, თავჯდომარეობაზე კი 18. თავჯდომარე დაეკითხა ბ. კემულარიას, სურს თუ არა კენჭი იყაროს თავჯდომარეობაზე? ბ. კემულარია უარს აცხადებს. კემულარია უარს აცხადებს თანაშემწეობაზეც. საზოგადოება სთხოვს კემულარიას თანაშემწეობაზე დაიდგას ყუთი. კემულარიამ კატეგორიული უარი განაცხადა, თავჯდომარემ რამდენიმე წამით შესწყვიტა კრება. განახლებისას საზოგადოებამ კიდევ გაუმეორა კემულარიას თხოვნა, იგი მაინც უარზე იდგა.

რაჟ. დათუშიძე—ჩვენ საქმე უნდა გვაინტერესებდეს და არა ის—ვინ რა თანამდებობაზე იქნება, მე დიდი სიამოვნებით ვთანხმდები თანაშემწეობაზე, თუ, რასაკვირველია, საზოგადოება ამირჩევს, ოღონდ ბ. კემულარია მის დაწყებულ საქმეს თავს ნუ ანებებს და თავჯდომარეთ დარჩეს.

იოს. კემულარია—არა, ბატონო, არ მინდა არც ერთი და არც მეორე. საზოგადოებამ უფრო საჭიროთ სცნო რაჟდენ დათეშიძის თავჯდომარეობა. მე რა უფლება მაქვს საზოგადოების ნდობით აღჭურვილ კაცს შევეტოქო.

ალ. კრანიტკის წინადადებით თანაშემწეობაზე ყუთი დაუდგეს სიმ. ეზიკოვს, რომელიც ჯერ უარზე იყო, მაგრამ საზოგადოების თხოვნით დათანხმდა. ამ რიგათ ყუთი დაუდგეს რ. დათეშიძეს და ეზიკოვს, თავჯდომარეთ აირჩიეს ბ. დათეშიძე 52—3 წინააღმდეგ. შემდეგ დასახელეს ბარათებით კომიტეტის წევრები. ყუთი დაუდგეს ათ პირს, რომელთაგან კომიტეტის წევრებათ გავიდენ: იოსებ ოცხელი. ვლადიმერ წერეთელი, ივანე პურადაშვილი, პეტრე გოკიელი, ალექსანდრე გრიგოლაშვილი, და ნესტორ ბარაბაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ აირჩიეს: თომა მთავრიშვილი, პავლე უზნაძე, გ. გიგინეიშვილი. დასასრულ ბ. რაჟდენ დათეშიძემ მადლობა გამოუცხადა საზოგადოებას ნდობისთვის და ალუთქვა ენერგიული მუშაობა, აგრეთვე მათგანაც მოითხოვა თანაგრძნობა. კრება დაიხურა სრულ 12 საათზე.

იმედი.

დაზამთრდა... ველი გადახმა,
ბუნება ალარ ყვავილა,
თოვლს დაუფარავს მიდამო,
ისმის ჩხავილი ყვავისა

ალარ ბიბინობს მიდორი,
ტყეს სძინავს ტკბილი ძილითა,
ალარ გაკვნესის ბულბული
არც ღამე, არცა დილითა.

ყრუთ გმინავს თოვლ ქვეშ ნაკადი,
ლაღათ არ მოსჩქეფს კლდიდანა,
არა ჩანს ნამი მაისის
გადმონახეთქი ციდანა.

ვხედავ მიდამოს გადამჭკნარს
და ცრემლს არა ვლვრი ეული,
ვგრძნობ: გაცოცხლდება მიდამო,
წავა ზამთარი წყეული!

იძინე ტკბილათ მთა-ბარო,
თოვლი გეყაროს თეთრათა,
კვლავ გაზაფხული მოგელის,
შეგამკობს ათასფერათა.

კვლავ მოფრინდება ბულბული
მიჯნური ვარდთა კრებისა,
და გადმოხეთქავს ნაკადი
მკურნალი მიდორ-ველისა.

სოსო ვარდაძე.

თაისში, თვარა ეს ფული რომ ჩვენ წამოვიღოთ, ეს საქმე, იქნება, სამუდამოთ დასამარდეს.

საგულისხმოთ.

დარწმუნებული ვარ, ყველა მკითხველს ეცოდინება რომ ქუთაისის საგუბერნიო ციხეს ორი განყოფილება აქვს. ამ საპატიმროებში დაპატიმრებულია არა ნაკლებ ორი ათას ბუთასი სულისა, რომელნიც საცოდავათ წლიდან წლამდი ხელგულ დაკრეფილი არიან, წასაკითხი წიგნი არ აქვთ. მთავრობამ ნება დართო ციხეში სამკითხველო მოთავსებულიყო და არსებობს კიდევაც, მაგრამ წიგნი არ მოეძებებათ. შეიძლება, სამ თვეში ერთხელ მოეს წრონ რომელსამე ერთ წიგნს ხელი შეავლოს. დიდათ მიკვირს, რომ ქუთაისის პატივცემული საზოგადოება ასე ცივი გულით ეკიდება ამ საქმეს. ჩემთვის დაუჯერებელია, რომ საზოგადოება ამდენს პატიმარს ადამიანებათ არა თვლის და თავწაყრით ყველას საზოგადოებიდან მოწყეტილათ, დაკარგულებათ სთვლიდეს.

სხვადასხვა გარემოებასა და ვითარებას ჩაუყრია ეს ხალხი ამ საკანებში. თვით უკიდურეს ბოროტთათვისაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია წიგნს და ბევრი ხომ მწარე იღბალსა და ბოროტ ხვედრს მოუმწყვდევია ამ ციხეში. სულიერი საზდო ყველას ეჭიერება. ბევრი მათგანი ისევ უნდა დაუბრუნდეს ამ საზოგადოებას, რომელიც ახლა ასე გულგრილათ ეკიდება მათს სულიერ საზდოს. შეეწიეთ, წიგნებით, ბატონებო, ციხის სამკითხველოს! ამაზე უფრო სამადლო საქმეს ვერას მოიგლენთ ამ მომავალს კარგ დღესასწაულობის დღეებში. ქუთაისში სამოცი ათასი მცხოვრები მაინცაა. მეათედმა ნაწილმაც ამ რიცხვისამ რომ თითო წიგნაკი შესწიროს ციხის სამკითხველოს, რა დიდი საქმე გაკეთდებოდა და რა იოლათ!

გიორგი ზდანოვიჩი.

ქუთაისის სასანიტარო მუშების ცხოვრებიდან.

საზოგადოთ მუშების ცხოვრება საურველ პირობებში არსად არ არის დაყენებული, მაგრამ ასეთი უსამართლოთ დევნა როგორც ქ. სასანიტარო მუშებს აქვს, არ გაგონილა.

მუშებმა თავის პირდაპირ უფროსს რამდენჯერმე მიმართეს თხოვნით შვამდგომლობისათვის, რათა მათ ჯამაგირი მომატებოდათ და ზოგიერთი პირობაც გაუმჯობესებოდათ. პასუხი იყო—ქალაქის გამგეობა ყურადღებას არ აქცევს და მე რა ვქნაო. მაშინ მუშები იძულებული გახდენ, მუშაობა შეეწყვიტათ. როდესაც გამგეობამ ისინი დაიბარა და კითხა მიზეზი, გამოირკვა, რომ არცერთი მათი თხოვნის ამბავი გამგეობას არ სცოდნია, გამგეობამ მოითხოვა თხოვნები, და როდესაც გაეცნო მათ, შეძლებისდაგვარათ კიდეც დააკმაყოფილა რამდენიმე. იყო მეორე მაგალითი: ერთი მუშათაგანი საავათმყოფოს ეტლზე გადაიყვანეს მეეტლეთ. იგი ავათ გახდა და მოათავსეს საავათმყოფოში. 15 დღეს შემდეგ, როდესაც მორჩა, თავის ადგილზე არ მიიღეს. უთხრეს—გამგეობამ შენ მაგიერი კაცი მიიღოვო. მუშამ მიმართა გამგეობას და ერთმა წევრმა მაშინვე ჩაყენა სამუშაოზე. ამ ცოტა ხანშიც კიდევ ერთი მუშა დაითხოვეს. მის მაგიერ სხვა მუშა დანიშნეს და ბრალს გამგეობას სდებდენ. მაგრამ თვით გამგეობის გადაწყვეტილება ასეთია: წელიწადში ორი თვით მუშას შეუძლია დროებით დაეთხოვოს საქმეს და ადგილზე მაგიერი კაცი დასტოვოს. ხსენებულ მუშას თავის ბადალი კაცი ყავდა დატოვებული, მასთან იგი კაი ხნის და ბეჯითი მუშაც იყო და ვადის ცოტა გადაცილებისთვის ადგილი არ უნდა დაკარგოდა, რაკი საქმეკარ ფერხდებოდა ამით და მისი ნაცვალი კაცი მის მაგიერობას ეწეოდა.

დანარჩენი შემდეგ.

მუშის ერთგული.

ოზურგეთის ამბები.

16 ქრისტეშობისთვეს მოხდა ქალაქის თვითმართველობის მორიგი სხდომა. გასარჩევი იყო 12 საკითხი, რომელთაგანაც ამ საღამოს მხოლოდ 5 საკითხზე იმსჯელეს: 1. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1912 წლის შემოსავალ-გასავლის შესახებ, 2. ჩაის საცდელი პლანტაციის გამგის განცხადება, რომ იჯარით მისცენ ქალაქის კუთნილი მიწა ზომით 10 დესეტინამდი, 3. ქალაქის მოურავის მოხსენება 7 ქრისტეშობისთვის იჯარით გაცემულ სასაკლაოს [illegible] ფარდულების, 4. ოზურგეთის სამოქალაქო საქალაქო [illegible] კომიტეტის თხოვნა დახმარების შესახებ და ხელსაქმის კლასის გახსნა იმავე სასწავლებელში, და 5. საფთიაქო კომისიის მოხსენება.

ჩვეულებრივ, როგორც სხვა თვითმართველობებში, ისე არც აქ ყოფილა რიგიანათ დაყენებული ანგარიშების საქმე. ჯერ კიდევ დიდი დრო გვჭირია იმის შესაგნებათ, რომ ქართველმა კაცმა გაარჩიოს, საზღვარი დაუდვას თავისს საკუთარ ჯიბესა და საზოგადო ფულებს. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ 1912 წელს ოზურგეთის თვითმართველობაში ვისმე ფულები შეეჭამოს ან გაეფლანგოს, მაგრამ, როდესაც საზოგადო ფულებს ისე ახმარებენ, თუნდა ისევ საზოგადო საქმეებსვე უკანტროლოთ, თითქოს საკუთარი ჯიბიდან ხარჯავს პირად საჭიროებაზეო, ეს კი არ არის მოსათმენი და აც საკადრისი.

სარევიზიო კომისიის მიერ ჩამოთვლილს მრავალ დეფეკტს შორის აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმეს: 1. სპ. ძიძიგურის მაგვრათ 10 მ. 3 შ. გასამართლებელ საბუთზე ხელი უწერია პირადათ ქალაქის ყოფილ მოურავს; 2, იმავე 1912 წლის ხარჯთაღრიცხვის წიგნში ნაჩვენებია, რომ იასე ჯინჭარაძის მიერ სავაჭრო მოწმობის აღების დროს უნდა შემოვიდეს ქალაქის კასაში 7 მ. 10 შ., მაგრამ, არათუ 1912 წ., დღესაც არ შემოსულა; 3. იჯარის ფული ერგებოდა ქალაქს ნიკო ქადეიშვილისგან 12 მ. 4 ან., რომელიც არ გადაუხდია და სარევიზიო კომისიის შეკითხვაზე ბ. ქადეიშვილს უპასუხებია, რომ არა კაცს არ მოუკითხავს ჩემთვისო; 4. ქალაქის აგენტისგან შემოსულათ სწერია ერთ დღეს 1174 მ. 02 კ.; ასეთი თანხის შესაკრებათ კი მცხოვრებთაგან, როგორც სარევიზიო კომისია შენიშნავს, ერთი თვეც არ კმარა. აქედან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ არავითარი კანტროლი არ ყოლია აგენტს, და როცა მოესურვებოდა, მაშინ შეკრებდა და როცა მოესურვებოდა, მაშინ შეკრებდა გადასახადებს და წარადგენდა თვითმართველობაში.

ბევრი ხარჯთაღრიცხვაზე გადამეტებული ხარჯია და ისეთებზე კი, როგორც ქუჩების შეკეთება, განათება და ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, ეკონომიაა გაწეული; ხელმომჭირნეობაც ამას ქვია. გასულ კვირას მდ. ნატანები გადმოვარდა კალაპოტიდან და წალეკვას უპირობდა ქალაქს და არიან კი ისეთი მცხოვრებნი რომელთაც 10—15 წლის განმავლობაში არ გადაუხდიათ ხარჯები და არც თვითმართველობას მიუღია რაიმე ზომები. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ მოუწესრიგებელი და უპატრონო ყოფილა აქამდი ქალაქი.

მცირე კამათს შემდეგ, ადგენენ ერთდროულათ დაეხმარენ 200 მანეთით ადგილობრივს სამოქალაქო საქალო სასწავლებელს, სადაც უნდა დაარსდეს ხელსაქმის კლასი; ყოველწლიურათ 125 მან. უნდა აძლიონ.

მაგრამ აი უახლოვდებიან საფთიაქო კომისიის მოხსენებას და ამ დროს თითქმის გამოცოცხლება ეტყობა ხმოსნების მთელ შედგენილობას. ქალაქის ახლათ გახსნილი აფთიაქი ახლანდელი ხმოსნების პირმშო შვილია, აფთიაქია ერთადერთი მათი უნარისა და ენერგიის ნაყოფი. ერთი თვე იქნება, რაც საკუთარი აფთიაქი გახსნა ქალაქმა და თუ ქართველურათ არ აიცრუეს გული, ბოლოს ძლიერ მომგებიანი და სასარგებლო დარჩება. საფთიაქო კომისიის მოხსენებით დახარჯულია:

შენობის შეკეთება	1190	მ. 16	კ.
მოწყობილობა	2101	„ 64	კ.
წამლები უყიდიათ	1216	„ 6	შ.
აფთიაქზე ალებული ვალის სარგებელი	341	„ 11	შ.
სხვადასხვა ხარჯი	613	„ 28	კ.
სულ	5462	„ 93	კ.

ერთი ხმოსანთაგანი ბ. დ. თალაკვაძე სასტიკათ აკრიტიკებს კომისიის მოქმედებას და უსაყვედურებს უმოქმედობას, რაც იმით გამოიხატა ვითომ, რომ კომისიის ფუნქციები მთლათ ერთ პირს, ქალაქის მოურავს მიუსაკუთრებია და ისე უკანტროლოთა და თავისი შეხედულებისამებ და საკუთარი გემოვნების მიხედვით უკეთებია ყველაფერი. კამათი მწვავე და საპირადო ხასიათს ღებულობს, იწყება კინკლაობა, რაც ჩვეულებრივი

საპაჭრო სახლი ი. გოკიელის ოვ—ბის ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **საფარბაზო ბარათები** საუკეთესო ხარისხის (Визитныя карточки изъ загран. бристоли). **რუსული კალენდრები.** საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერის და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კალენდრები. **ტყავის პორტფელები.** (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).

კალათები ქალალდის ჩასაყრელი.

27-ნ 31 დეკემ. **გაიყიდება ღვრილათ ყოველნაირი კონფეტები** დაკლებულ ფასებში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), საშხარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შეალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

მოვლენაა ქართულ კრებებსა და სხდომებზე.

ერთ ხმოსანს შემოაქვს წინადადება: საყვედური გამოეცხადოს კომისიას, რადგან ვერ დაიცვა თავის უფლებები, მაგრამ რამდენიმე წუთს შემდეგ ისევ უკან მიაქვს წინადადება, გაკუჭებული ვიყავიო. ქალაქის მოურავი მოითხოვს ახალი კომისიის დანიშვნას. მეორე წინადადება შემოაქვთ, რომ საყვედური გამოეცხადოს ქალაქის მოურავს უფლების გადაჭარბებისთვისო. ბოლოს კი კომისიის ანგარიშს ამტკიცებენ და შემდეგისათვის აფრთხილებენ.

დაგვიანდა და სხდომის გაგძელება გადაიდვა მეორე დღისთვის.

—

ოზურგეთის ბიბლიოთეკის გამგეობის წევრებათ ხმის უმეტესობით აირჩიეს 15 დეკემბრის კრებაზე ბ. ბ. მ. სირაძე, ვლ. ცეცხლაძე: მ. თოთიბაძე, ი. ლომაძე, და კნ. ქ. ნაკაშიძის ასული.

კანდიტატებათ: ბ. ბ. ა. თედორაძე, ს. ვაშაყმაძე, ს. კალატოზოვი.

სარევიზიო კომისიის წევრებათ. ბ. ბ. ღვდ. ტ. ლავროვი, ნ. ჩიმაკაძე, დ. თალაკვაძე და მათ კანდიდატებათ: კ. რუხაძე, ვ. მამალაძე და გ. მუმლაძე.

დამხმარე კომისიის წევრებათ ბ. ბ. ს. მიქათაძე; ი. ღლონტი, მ. ზაქარიაძე, გ. სალუქვაძე და ლ. სალუქვიძის ასული.

გოლა.

ლაბა-სოფელი.

ს. გვაზოური (ქვემო იმერეთი). ამ სოფელში არსებობს ერთკლასიანი სამრევლო შკოლა, სადაც მასწავლებლობენ ლიზა მატარიას ქალი და ისაია მიროლავა. სწავლობს 80 მდი მოსწავლე. ამ შკოლას სათანადო მთავრობისაგან უფასოთ მოდის სახელმძღვანელო წიგნები, მაგრამ მასწავლებელი ბავშვს წიგნებს უფასოთ არ აძლევს. ამასთანავე მაღაზიაში ნაყიდ წიგნებს, როგორც ფასი აქვს, ისე არ ყიდის და ორ აბაზიან წიგნში 10 შაურს ახდევიებს. ბავშები შკოლაში სიცივით იხოცებიან და ამავე დროს მოსწავლეების შეშისთვის მოგროვილი ფულით თავისთვის ყიდულობენ შეშას და ითფობენ სახლს. ყოველივე ამას ზედ ერთვის კიდევ მათი უდიერი მოქცევა მოსწავლეებისადმი. მაგალითად, ბესარიონ ჯღარკავას ძმისწულს 13 წლის ბავშს, რომელიც ავათმყოფობის გამო შკოლაში არ წასულა ერთ დღეს, მიროლავამ ჯოხით სცემა, თავი გაუტეხა და სისხლი ადინა. სისხლიანი ბავშვი მამასახლისს აჩვენა პატრონმა. მატარიას ქალს გამზადებული აქვს წვეტიანი ჯოხი და იმით ჩხვლეტს ბავშებს. აი როგორი მასწავლებელი ყავს ამ ბედკრულ შკოლას, და როგორი იქნება ბავშების სწავლა, ადვილი მისახვედრია. ნუთუ ასეთ მოვლენებს ადგილი უნდა ქონდეს შკოლებში და მას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციონ სოფლის მოწინავე პირებმა და სათანადო მთავრობამ?!

ბლეხი.

წერილები რედაქციის მიმართ.

მ. ხ. ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში 22 ნოემბერს 1913 წელს თეატრ „რადიუმში“ გამართული კინემატოგრაფიული სეანსების ანგარიში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების სახსრის გასაძლიერებლათ.

შემოგიდა:

ბილეთების გაყიდვით 439 მ. 11 შ. შემოსწირეს: პ. ს. მეფასაშვილმა და ტ. ა. ასათიანმა 35 მ. 56 კ., ფ. შ. რეხვიაშვილმა 10 მ., ე. ბ. ხოჯევანოვისამ 5 მ., მ. ე. ლალიძემ 5 მ., ე. ა. კორძაიამ 3 მ., ს. ა. ყორღანოვმა 3 მ., ა. ა. მხეიძემ 3 მ., თ. ა. მთავრიშვილმა 3 მ., ბ. გოკიელმა 3 მ., კ. კ. ტრესკინმა 2 მ. და 2 აბაზ., ო. გ. ცაგარელმა 2 მ., ნ. ა. იზიუმსკიმ, ნ. დ. ემანუილოვმა და ვ. ს. ტკაჩენკომ თითო მანეთი (1 მ.); ვ. იოსელიანმა და ა. ფ. ბოგდანოვმა ათ-ათი შაური; ა. ამონოვმა, ი. აბიბერგალმა, ს. ბ. რუმიანცევმა, ა. ს. ხრეანოვსკიმ და ბ. ი. მოსაძემ ორ-ორი აბაზი; ბ. ჩარექოვმა 6 შ., ნოსკოვმა 5 შ. სხვადასხვა პირისგან-კასაში 3 მ. და 6 კ.

სულ 84 მ. 57 კ.

წმიდა ნინოს სასწავლებლის მოწაფეთაგან 9 მ., კორძაიას შკოლიდან 7 მ. 4 აბ.

სულ 16 მ. 4 აბ.

მთელი შემოსავალი 540 მ. 92 კ.

დაიხარჯა საქველმოქმედო მარკებში 28 მ. 56 კ., მემუსიკეთ მიეცათ 10 მანეთი და „რადიუმს“ 120 მანეთი. სულ ხარჯი იყო 158 მ. 56 კ. სეანსიდან წმინდა შემოსავალი დარჩა—382 მან. 36 კ. სეანსის შემოსავალს მატერიალური მხრით დიდათ შეუწყეს ხელი შემდეგმა პირებმა; ა. ე. დუბინინმა, ი. ი. ჰურადოვმა, რ. კ. დათეშიძემ, ბ. ლ. რაფაელოვმა, ს. ი. ხეჩინოვმა, მ. ნ. ქუთათელაძემ, ვ. მ. სისოევმა და ხ. ა. სინგარევსმა. თეატრის ადმინისტრაციამ მიიღო ყოველი ზომა, რომ სეანსები საგულისხმო და კარგი ყოფილიყო. გიმნაზიის ინსპექტორმა, პედაგოგიური კოლეგიის ყველა წევრმა და მ. ნ. ქუთათელაძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ბილეთების შემოწმებასა და წესერების დაცვაში. დიდძალი საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა მოწაფეთა გაჭივრებას და თავისი დასწრებით მემოსავალი გააძლიერა. ფოთის პოლკის უფროსმა მუსიკა უფასოთ დაუთმო.

ყველას, ვინც დახმარება გაგვიწია კლასიკური გიმნაზიაში ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტის სახელით ულრმეს მადლობას ვუცხადებთ.

კომიტეტის თავჯდომარე გიმნაზიის

დირექტორი **კოტიდეესკი.**

—

გაზეთი „ერის“ ამ წლის 37-ე ნომერში დიდი სიამოვნებით ამოვიკითხე ცნობა გელათის მონასტერში წინამძღვრის თანამდებობის აღდგენაზე. რაც მწუხარება ქართულმა პრესამ გამოსთქვა ამ ადგილის გაუქმებისა გამო დღეს ეს მწუხარება სიხარულათ უნდა შეეცვალოს. დიდათ პატივცემული, ყ-დსამღვდელო გიორგი, თავისი შვამდგომლობით სინოდალური კანტორის წინაშე და ამით თავისი განზრახვის განხორციელებით მთელი ქართველობისგულს მოიგებს. კანტორამ რაღაც იდუმალი მოსაზრებითა წასრულ წელში ხსენებული ადგილი გააუქმა და ზედამხედველობა დააკისრა ყ-დსამღვდელო გიორგის, თანახმათ დიდიხნიდან მთელს რუსეთში შემოღებული წესებისა. იქ, მართალია, თვითოეულ ღვდელმთავარს, სხვათაშორის, საკუთარი მონასტერიც აბარია, მაგრამ ქართველობა არაა ჩვეული ამისთანა წესებს და თავის ღელში ამას არ შეურიგდება, არამედ მან ჩათვალა ამის თანა მოულოდნელი განკარგულება დიდ შეურაცხყოფათ და დამცირებათ ეროვნული სიამაყისა და დიდებისა. გელათის მონასტერი, უმისოთაც გაფცქვნილი და შელახული უწინამძღვროთ უნდა დარჩენილიყო? არა,—ქართველობას სურს, რომ ადგილობითი მომვლელი პატრონი ყავდეს მას და მისი აპარტახებული მდგომარეობა მოძრაობის დროს ამ გზით იქნეს შეინც დაცული, რომ ჭეშმარიტ ქართველს, რომლის გულშიც ჯერ არ გამქრალა სიყვარული ჩვენი ეროვნული ნაშთისა და ჩვენი წინაპრების შრომის ნაყოფისადმი ცრემლებს არ გვრიდეს და არ აშფოთებდეს. ყ-დსამღვდელო გიორგის მეოსურვებია იმის გაჭარწყლება რაც აწუხებდა და სულს უხუთავდა ჩვენს ქართველობას, რითაც ამტკიცებს, რომ ის ნამდვილი ქართველი ღვდელმთავარია, მოტრფიალე და დამცველი ეროვნული ინტერესებისა.

ხმები, შესახებ დეკანოზ კერესელიძის ბერათ აღკვეცისა და გელათის მონასტრის ადგილობითი მესვეურათ დანიშნვისა, სიხარულს გვრის ყველას, ვისაც გული შესტკივა ამ მონასტერზე. დიახ, მამა კერესელიძე ღირსი კანდიდატია: კაცი ყ-დ პატიოსანი, წყნარი, თავაზიანი, ზდილობიანი, საკმაოთ შეგნებული და განვითარებული და მასთან ღრმათ მორწმუნე სასულიერო პირი, რომელსაც შეუძლია გაუწიოს ამ დიდებულს მონასტერს ნამდვილი მამობა და არა მამინაცვლობა.

ღმერთმა ინებოს, რომ ეს ხმებიც გამართლებულიყოს და გელათის მონასტერს წართმეული უფლებები მობრუნებოდეს და ძველს კალაპოტში ჩამდგარიყოს სასიხარულოთ ქართველი ერისა და სადღეგრძელოთ ყ-დსამღვდელო გიორგი ეპისკოპოზისა.

დეკანოზი **ერმოდოზ კანდელაკი.**

1913 წ. 18 ნოემბერ—ს კულაში.

რედაკ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის საწყობში

ზემდეგი გამოცემანი:

1. ყუბანეიშვილი. პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე ფ. ყდით 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია ფ. „ 2 აბაზი.
3. ხუნდაძე. ქართული გრამატიკა ფ. „ 3 „
4. მისივე. მოკლე ქართული გრამატიკა ფ. „ 1 „
5. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა ფ. „ 1 „
6. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა ფ. „ 10 შაური.
7. „გუთანი“ ქართული სახელმძღვანელო ფ. „ 17 „
8. გერსამია ღვდ. ლოცვანი ფ. „ 2 „
9. დათეშიძე. ქართული წერის დედანი ფ. „ 5 „
10. კიტა აბაშიძე. ეტიუდები XIX საუკ. ქარ. ლიტ. შესახებ ფ. „ 14 „

აქვე იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი. პროვინციის წიგნის მაღაზიებს ეძლევათ დიდი საღავათი.

გვერდით გამართულია სპეციალური **კანცელარიაც მაღაზია** **დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები ძლიერ იაფათ; ამ ეამათ აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო ბარათი და კალენდარი 1914 წლისა.

მისამართი: Кутаисъ. книжный магазинъ т-ва К. И. Оцхели.

გმელდება ხელისმოწერა

„სასოფლო გაზეთზე,“

24 ნოემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი ხელიწადი.

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.

წლიური ფასი . . . . 4 მან.
ნახევარი წლის . . . . 2 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:

2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.

ხრესილი.

სამკურნალო აგანო

მეირფასი მთის აერზე

ძმ. ყორყოლაძეების

ოქმები ფასული ადგილი დარწმუნდებიო.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარება (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, ანბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის საკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიფური შემოტანით.

გ. გოლდაძისა და ს. ნერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალტეევის ბუსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული უურადღება მინის ეუთზენიშნს „БЕМСКОЕ“

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან **მიღებული რკინეული**

საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ხარის მოწყობილობა, შბალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასით.

ქ. ქუთაისში, საგუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

ქუთ. საქმელდრო ლაზარეთის კანცელარიაში ამა წლის 28 დეკ. დილის 10 საათზე მოხდება

საჯარო ვაჭრობა

1914 წლის განმავლობაში სანოვაგის მიწოდების ოვდარით გასაცემათ. წლიურათ ლაზარეთს დაახლოებით 25 ათასი მანათის სანოვაგე სჭირდება. პირობის გაცნობა შეიძლება ყოველდღე ლაზარეთის კანცელარიაში, დილის 10 საათიდან 12 ს.